ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის

კომპიუტერული ტექნოლოგიების კლუბი „ალგორითმი“

წესდება

მუხლი 1 ზოგადი დებულება

1) კომპიუტერული ტექნოლოგიების კლუბი „ალგორითმი“ (შემდგომში - კლუბი) დაფუძნებულია ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის ბაზაზე მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე.
2) კლუბი დაფუძნებულია უვადოდ.
3) კლუბს აქვს სახელწოდება, ვრცელდება კლუბის მეურვის სოციალურ ქსელის ვებ - გვერდზე, ჯგუფში სახელწოდებით „ისტ-ის ჯგუფი - გიული ბუთხუზი“- https://www.facebook.com/groups/517947998919346 და სკოლა-გიმნაზიის ვებ-გვერდზე - http://www.gmgimnazia.ge/index.php/ka/
4) კლუბის იურიდიული მისამართია: საქართველო, გორი, სამეფოს ქუჩა # 5.

მუხლი 2. კლუბის მიზნები და დაარსების იდეა

1) კლუბის მიზნებია:

1.1. სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეებისათვის საკუთარი თავის გამოხატვის შესაძლებლობების მიცემა;

1.2. სასკოლო პროგრამების მხარდაჭერა;

1.3. საგანმანათლებლო ბაზის შექმნა;

1.4. მოსწავლეთა კვლევის, ანალიზის, ჯგუფური მუშაობისა და დისკუსიის უნარების გამოვლენა, ჩამოყალიბება და განვითარება;

1.5. მიღებული ცოდნის გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში;

1.6. პრეზენტაციის უნარების ჩამოყალიბება;

1.7. პრობლემების გადაჭრის უნარების განვითარება;

1.8. წყვილებში, ჯგუფურად და ინდივიდუალურად მუშაობისას გამოცდილების მიღება გაზიარება;

1.9. მოსწავლეებში ვიზუალური პროგრამირების კუთხით (code.org; Scratch) ცოდნის გაღრმავება.

1.10. მოსწავლეებში ალგორითმული აზროვნების ჩამოყალიბება.

2) კლუბის დაარსების იდეა გამომდინარეობს მოსწავლეთა საჭიროებიდან, ვიზუალური პროგრამირება და კოდის წერა რთული პროცესია, ამიტომ, ვფიქრობ, კლუბის მუშაობა ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ალგორითმული აზროვნების ჩამოყალიბებას. გარდა ამისა მოსწავლეებს საშუალებას მისცემს აიმაღლონ ცოდნა პროგრამირებაში, შექმნან სხვადასხვა პროექტები და მიიღონ მონაწილეობა კონკურსებსა და კონფერენციებში.

მუხლი 3. კლუბში გაწევრიანება და წევრობის შეწყვეტა

1) კლუბის წევრობა ნებაყოფლობითია;
2) კლუბის წევრი შეიძლება გახდეს სკოლა-გიმნაზიის დაწყებითი კლასის მოსწავლე, რომელიც იზიარებს კლუბის მიზნებს;
3) კლუბის წევრობის მსურველმა უნდა მიმართოს კლუბს წერილობით ამ წესდების N1 დანართით დამტკიცებული ფორმით;
4) კლუბის წევრი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა კლუბის საქმიანობაში, დაიცვას წესდების მოთხოვნები, შეასრულოს დავალებები და კლუბის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;
5) კლუბის წევრს ეკრძალება იმოქმედოს ორგანიზაციის სახელით კლუბის მეურვესთან (მასწავლებელთან) შეთანხმების გარეშე;
6) კლუბი პასუხისმგებელია მისი წევრის მხოლოდ იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია კლუბის საქმიანობასთან;
7) კლუბის წევრს უფლებამოსილება უწყდება:
   ა) პირადი განცხადების საფუძველზე;
   ბ) კლუბის წევრთა ხმათა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, როდესაც მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება კლუბის მიზნებს და უხეშად არღვევს აღნიშნული წესდების დებულებებს;
   გ) მოსწავლის ამორიცხვის, გარიცხვის, სტატუსის შეჩერების შედეგად;
8) კლუბის წევრთა რაოდენობა არ არის განსაზღვრული.

მუხლი 4. კლუბის მართვა და გადაწყვეტილებების მიღების წესი

1) კლუბს შეიძლება ჰყავდეს მინიმუმ ერთი მეურვე (მასწავლებელი), რომლის უფლებამოსილებაა უხელმძღვანელოს კლუბის საქმიანობას, ერთპიროვნულად წარადგინოს კლუბი მესამე პირებთან, უხელმძღვანელოს კლუბის მიერ განსახორციელებელი პროექტებისა და პროგრამების შემუშავებასა და რეალიზაციას, განაგოს კლუბის ქონება;
2) გადაწყვეტილების მიღებისას ხმის უფლებით სარგებლობენ კლუბის წევრები, რომლებიც გადაწყვეტილებას იღებენ დამსწრეთა უმრავლესობით.

მუხლი 5. კლუბის მუშაობა

1) კლუბი იკრიბება კვირაში ერთხელ;
2) კლუბი მუშაობს წინასწარ შემუშავებული სამუშაო გეგმით;
3) კლუბის მეურვე ინტერნეტ სივრცეში სკოლა-გიმნაზიის ვებ-გვერდზე ან სოციალურ ქსელში მეურვის გვერდზე ან ბლოგზე განათავსებს შემდეგ ინფორმაციას:

3.1. კლუბის სახელწოდება, ლოგო და შესაბამისი ატრიბუტიკა;
3.2. კლუბის წესდება, მისი დაარსების იდეა და მიზნები;
3.3. კლუბის სამუშაო გეგმა;
3.4. განაცხადის ფორმა კლუბში გაწევრიანების მსურველთათვის;
3.5. საკლუბო აქტივობების ამსახველი ფოტო/ვიდეო მასალა/შესაბამისი ბმული;

4) ამ წესდების მეორე მუხლით გათვალისწინებული ამოცანებისა და მიზნების მისაღწევად კლუბის წევრები:

4.1.ახორციელებენ კვლევას სკოლის მოსწავლეთათვის საინტერესო საკითხებზე;
4.2. ორგანიზებას უწევენ კონკურსებსა და სხვადასხვა პროექტებს;
4.3. უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ინფორმირებას კლუბის ფარგლებში წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით;

მუხლი 6. კლუბის საქმიანობის შეწყვეტის საფუძვლები

1) კლუბის საქმიანობა წყდება:

ა) კლუბის წევრ მოსწავლეთა გადაწყვეტილებით, თუკი კლუბმა დაკარგა აქტუალურობა (მოსწავლეებში დაინტერესება);
ბ) კლუბის მოქმედების ვადის გასვლით.

მუხლი 7. ცვლილებების შეტანა

კლუბის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება ცვლილების შესახებ ინიციატივის მოსწავლეთა გაერთიანებულ სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების შედეგად.